აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

19 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკისა და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ საარჩევნო ბლოკის და მისი წარმომადგენლების საარჩევნო რეგისტრაციისათვის უსკოში წარმოდგენილი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერილი განცხადება და წესდება (გარდა წესდების მე-17 პუნქტისა) შეესაბამება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნებს.

საარჩევნო ბლოკის წესდების მე-17 პუნქტში აღნიშნულია, რომ საარჩევნო ბლოკი სარგებლობს „საქართველოს კონსერვატიული პარტიის რიგით ნომერს „7“.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 119-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო ბლოკების რიგითი ნომრის განსაზღვრა არ წარმოადგენს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო ბლოკი

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, სახელწოდებით - „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენლები კახაბერ სოფრომაძე და გუგული დუაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე